

გაზეთის შანი:

გაზეთი თბილისში და გარეშე ადგილებში: პრების წლისა — 7 მან. ნახევრის წლისა — 4 — 50 კ. სამის თვისა — 2 — 50 კ.



დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელოქო-შვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ზეზუთოვის სახ-ლში.

საკომლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი: თბილისი.—თავდაზნაურთა წინამძღოლისაგან.—სამოსამართლო მარტო-ბელი.—პოლიტიკა: შინაგარე.—სერბია.—თელავის ამბები.—ნინო დეპუტატების წერილი.—ტანსაცმელის უზომოდ ხმარებაზედ. მსმალეთის ქვეშევრდომი ქვეყნის ამბავი.—სხვა და სხვა ამბავი.—საოჯახო ცნობები.—სახანო განცხადებები.—ძირძობითი განცხადება.—საბიბლიოგრაფიული ცნობა.

ოსი და ხორხელის მცხოვრებნი და მათთანვე ბერძნის ფილატის მონასტრის გლეხნი. 2) მუხროვანის სოფელზედ, რომელიც არის სადავო ჩოლაყაშვილებსა და სამხედრო უწყების შუა. 3) აზნ. ჯანაშვილების მამულზედ, რომელიც არის ს. ძაეთის-ხევში და დავობენ თ-ნი მარხნიშვილები.

ბიც იყენენ რენაკიდგან, შენერაკიდგან და ღონეზაკიდგან. საქმის წარმოება ხუთშაბათს გათავდა. მრი ბრალდებული გაამართლეს, შეიძს კი დატუსაღება გადაუტრეს, ვადით—ათი დღიდგან სამ თემდის. დაჭერილებში იმყოფება საზოგადოებათ თათბირის წევრი. მთხი დაჭერილი ჯერ არ გაუსამართლებათ. მრთ ამ დაჭერილობაგან აბრალდენ, რომ იმას ღედელი ღიუპონისთვის თავბირზედ ჩამოუფხატავს ქული და ღონეზაკის ეკლესიის წინ დაჰქუჩარება ჯოხითა და ქვებით ცემას.

ლუტერის ისტორია და სხვათა შორის წარმოსთქვა: „ლუტერის პირი-სახე ეუბნება ჩვენს სინიდისს, რომ აღუდგეს წინ ყველაგვარ ძალადობას, თუგინდ ის ძალადობა მეწამული ქლამინდ-მოხვეული და რკინის ჩაქან-მოქედლი იყოს“. ღეკანმა ძეიტმა თავის სიტყვაში მიუსალამა გვირგვინოსან გვამებს, და პრუსიის კაროლს ლუტერანის (ლოთრანის) ეკლესიის მოსარჩლედ უწოდა მთელ ბერმანიაში და იმას გარეთაც. შერმეგ მრავალი ხალხის აღტაცებისა და მხიარულებისა ხალხი დაიშალა ნაშუადღევის ოთხ საათზედ.

თბილისი.

წასული პრასკევის ნომერში „ძავეასი“ გვაცნობებს, რომ თბილისის ქალაქის რიგის მიმცემ სამმართველოში კათათვის 19 პროცენტოლი წაიკითხეს, რომელიც მოიხსენებს რომ მისის 31 ქალასის სამმართველოში ამორჩეულ წევრებმა და სხვათა გადასჯრეს მისი იმპერატორებითი ღიდებულების აღექსი აღექსანდრესძის მობრძანების თბილისში ღირს სახსოვრათ დარჩენისათვის ხელმოწერით ფული შეიკრიფოს ქალების გემნაზიის სასარგებლოთ. ამ აზრით შეგროვდა ოთხას-ოცდაათურმეტო თუმან ნახევარი. ამ ფულიდგან ოთხასი თუმანი გადასდეს ქალების გემნაზიისათვის, რომ ხუთ პროცენტიანი პირველის და მეორეს სესხის მოგების ბილეთები იყიდოთ და გაგზავნონ ქალების გემნაზიაში, რომ იმ ფულების სარგებელი გემნაზიამ მოიხმაროს და დანარჩენი ოცდათერთმეტ ნახევარი თუნი მისის ღიდებულების დასახვედრათ დაიხარჯოს. ამასთანავე შემოხსენებულ კრებაში წარკითხეს აღრესის პროექტი მისის იმპერატორების ღიდებულების ღიდის მთავრის აღექსი აღექსანდრეს ძისადმი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ თბილისის მოქალაქენი შემოხსენებულს შეწირავს მოიტანენ ღიდ მთავრის მობძანების სახსოვრათ.

პოლიტიკა.

შრანსია.

ზღეხეების არეულობა და სასულეიერო დასი. შრანსიაში შრანტის დეპარტამენტში რომ გლეხებისაგან არეულობა მოხდა, ამ არეულობას აბრალდენ Opinion National-ს (გაზეთია) და კიდევ სხვა გაზეთებს. Opinion-იც თავის მხრით ამბობს, რომ ამ არეულობის ამტეხი არის „საღამოს მონიტერიო“, რადგან ამ გაზეთში დიბეტკდა ზოგიერთი სენატში წარმომქმული სიტყვებია, რომელთაც გლეხობა გამციფრებაში მოიყვანესო. Opinion-ს კი თავისდღეში არ უღაპარაკნია ათის თავისა (*) და ფეოდალური უფლებების შემოღებაზედაო. მსუკ უნდა ესთქეათ, რომ საკვირველი არ არის, თუ მიგოლის და ღონეზაკის მოსახლეთ დაიჯერეს ათის თავისა და ფეოდალური უფლებების შემოღება, —იმისთვის არ არის საკვირველი, რომ იმათი მხარე საესეა ბერებითა და მონონებით, რომელნიც ეხლა უფრო ბერნი არიან, ვიდრე 1789 წლამდის ყოფილან,—ამასთან ხედვენ, რომ ღედლები, რომელთაც მმართველობისაგან აქესთ დანიშნული ჯამაგირი, რევოლუციანზედა და თავისუფლებაზედ დაიცინებინან,—აგრეთვე იმასაც ხედავენ, რომ აღმორჩევების დროს (კენჭის დროს სხ. და სხვა თანამდებობის პირების ამოსარჩევად) პრეფექტებს, მმართველობის წარმომადგენელთა და იმ სოფლის მღედლებს, რომელნიც რევოლიუციის და ახალ სახელმწიფოს წყობილებას ანათემას (შეჩვენებს) უთელიან—სრული თანხმობა აქესთ ერთმანეთში. არეულობა და უწყსოება შრანტის დეპარტამენტში ჯერ არ გათავებულა. მშინანთ, რომ მონტარში სენტ-სოვენში, რენიაკში და ძრუა-შენტშიაც არ მოხდენ ამ გვარნი უწყსოებანი. ღიბურნიდგან გაგზავნეს იქ რამდენიმე ესკადრონი უღანები. არეულობის მოთავებმა, რომელნიც ღონეზაკში დაატუსაღეს, გამომძიებელი პოლიციის სამსჯავროში სთქვეს, რომ ჩვენ ღონეზაკში მხოლოდ იმისთვის მოვედითო, რომ ათის თავის შემოღებას წინ აღედგომოდითო. სოფლელებმა დაუმატეს, რომ ცემას გვიპირობდენ, თუ არეულობაში არ გავრეულიყავითო, და მსაჯულებს ყურადღება იმაზედ მიაპრობინეს, რომ ჩვენ სულ ეყვიროდით: „ღმერთმა აღდგომილოს იმპერატორიო!“ ამას შემდეგ ოცდაათ მოწამეს ჩამოართვეს ჩვენება; ამ მოწამების რიცხვში რამდენიმე სოფლის ღედლე- (*) ათის თავი—ესე იგი მეთაფი ნაწალი, რომელიც საზოგადოდ ყველას თავის შემოხსავლიდგან უნდა შეეგანა ეკლესიის სასარგებლოდ.

შარანტის დეპარტამენტში მოხდარ არეულობაზედ და უწყსოებაზედ სასულიერო დასის მომხრეების გაზეთი „Journal des villes et des campagnes“ გეტყობინებს შემდეგ ცნობებს: „სიგონის მღედელმა ბერი უბედურება მოითმინა. ამ მღედელს არათუ მხოლოდ სცემეს ეკლესიაში და იმის გარეთ, არამედ ტანისამოსის ზედ შემოხვეცა უნდოდათ. იმის ბედზედ, ბურგამისტრმა (ქალაქის უფროსმა) მიასწრო და რაც შეეძლო იკავებდა გამძინებულ ხალხს; ამას მიეწველდენ ქმანდარმები და გამოიხსნეს უბედური ღედელი. ხატი, რომელზედაც იყო დახატული იოსები და ეჭრა ხელში ია, ლუქალუქმა აქციეს სოფლელებმა, რადგან იმათ ია ფეოდალური უფლებების აღდგინების ნიშნად მიიღეს. მრთ ხატზედ ზედ-წარწერილი: virtus virtutem fovet მუხებურმა მსწაულელმა ამ გვარად ახსნა: vire-toi à droite, vire-toi à gauche, tu es f... (გინდ მარჯვნივ გადმოტრიალდი, გინდ მარცხენი—მინც წაგებაში იქნები). სოფლის მოსახლენი ყვიროდენ: „დაიკარგენ ღედლები! დაიკარგოს აზნაურობა! ღმერთმა აღდგომილოს იმპერატორი!“ ამას გარდა სოფლელები ზოგიერთ მაღალ ხარისხის პირებს, რომისასა და პარტიასს, ისეთი სიტყვებით იხსენებდენ, რომ აქ არ შეიძლება მოეხსენოთ. ბოლოს Journal des villes et des campagnes ამბობს შემდეგს ძალიან შესანიშნავ ამბავს: „მერთმა ღედელმა სთქვა თავის სიტყვაში, რომ იესო ძრისტე—მეფეთ მეფე არისო. მაშინ ერთი სოფელი ადგა და დაიყვირა: „ჩვენთვის მეფე საკირო არ არის; ჩვენ იმპერატორი გვყავს! ღმერთმა აღდგომილოს იმპერატორი!“

სერბია.

ახალის მთავრის მილანის მისცულა ბელგრადში. მილანის 11 (23) ილის 5 საათზე მილანი შემოვიდა ბელგრადში ვენგრიულ ცეცხლის გემითა. ზარბაზნის სროლა იყო ბელგრადის ციხიდგან. მთავარს ღიდის ცერემონიით დაუხვედნენ, თუმცა მიხეილზე მგლოვიარობა ჯერ არ მორჩენილა. მილანი საიმედო ყმაწვილსა ჰგავს. ხალხს თავს უკრავდა, რომელიც უხვედებოდა ძანილით: „ჟივიო“ (აცოცხლოს). მთავარს დაუხვედნენ სენიტორები, მინისტრები და უცხო ქვეყნის აქ მყოფი ელჩები. მთავარი და დროებით მმართველობის წმერნი წაიღდენ კონაკში (მთავრის სასახლეში). მიტროპოლიტმა აკურთხა მთავარი და უთხრა: „იყავი სერბიის მფარველი და თავისუფლება დაიციევი უცხო ქვეყნელების უღელისაგან შენ წინაპრთა მაგალითისამებრ.“

ბელგრადიდგან იწერებინან ვენის გაზეთში Presse-ში თბათვის 11 (23) მილან მბრენოვიჩი მოვიდა ბელგრადში. ღდსევე დააწესებენ მზრუნველობას (попечительству), რომელიც იმის აღზრდას ყურს უდგებს. საფუძელათ დაუღვიათ, რომ მთავარს მოაშორან დედაკაცების ზედ მოქმედება; ამისთვის არც მთავრინა იუღია მბრენოვიჩი (მიხეილის ვაშეგებული მეუღლე), არც მილანის დედა ბელგრადში არ უნდა დარჩენ. მთავრინა იუღიამ მიხეილის სიცოცხლის დროსვე ფორმალურათ უარი ჰყო სერბიის მთავრის მეუღლის უფლებებზე. მთავრინა იუღიას მიხეილმა პენსია დაუნიშნა და ვენაში თავისი სასახლე აჩუქა. მილანის დედა ღიდი ხანია თავის ქმარს ფორმალურათ გაეყრა და უფლებაც არა აქეს თავისის ქრმის მბრენოვიჩის გვარი დაიკრეს. ამ გვართ არც იუღია და არც მილანის დედა სახელმწიფოს გამგებლობაში და მილანის აღზრდაში მონაწილეობას არ მიიღებენ. —ღდეს დაიბეტება ოფიციალურს და ოფიციალურ გაზეთებში დროებითი მმართველობის შეტურყველი სურვილი, რომ რეგენტობის (მთავართან მიჩენილი კაცები რომელნიც განაგებენ სახელმწიფოს) წევრების ამორჩევა კანონის ნამდვილ საფუძელის ძალით მოხდეს. 1859 წ. კანონში მოხსენებულა, რომ რეგენტობის წევრებთ ამორჩეულნი იქმნან შემდეგნი სამნი პირნი: რომელიმე სენატორი, მინისტრი (ან მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელი) და რომელიმე წევრი კასაციის ანუ აპელაციის სასამართლოსი. ამ გვართ იღია ბარაშანინი როგორც სამსახურიდგან გამოსული მინისტრი, რეგენტობის წე-

გერმანია.


მორმსში ლუტერის ძეგლის დაღმავება. ბერლინის გაზეთები გვაცნობენ ტელეგრამებით (ამბობს „ნივალიდი“): „25 იენის ნიშუადღევის ორ საათზე მორმსში დაუდგეს ლუტერის ძეგლი, რომელზედაც დაესწრო მრავალი ხალხი და გვირგვინოსანი გვამები; ამ დროს ხალხი ღიდი აღტაცებით ხმაურობდა და ზარბაზნებსაც ისვრიდენ. იმ მეღანზედ, სადაც ძეგლი დადგეს, შეკრავებული იყო ასი ათას კაცზედ მეტი; ამათგანი 90,000 კაცი უცხო ქალაქებიდგან იყენენ მოსულნი ამ დღესასწაულში დასწრებისათვის და 15,000—საც ქალაქის მცხოვრებნი იყენენ. დანიშნული აღაზიდგან მეღანამდის სელა ღიდი ცერემონიით იყო. ძეგლთან რამდენთამე პირთ წარმოსუქვეს სიტვა ამ დღესასწაულისა და თვით ლუტერის თაობაზედ. უ. მპპერმანნმა სთქვა თავის სიტყვაში

თბილისის გუბერნიის კთილშობილი წინამძღოლისაგან.

ნებითა მისის იმპერატორების თვის შემალესობის ძავეასიის ნამესტნიკისათა 15-სა მომავალს ივლისსა იქნება ღუშეთის ქალაქსა შინა გახსნა უფზდის კთილშობილთ შეკრებილების აღმორჩევისა ზედა უფზდის წინამძღოლისა და დეპუტატისა კთილშობილთ სადებუტატო სობრანიისათვის, მათის კანდიდატებითა. მაუწყებ ამაზედ უფალთ თავადთა და აზნაურთა ღუშეთის უფზდისათა და ერაცხ ვალდებულად აქენდეთ მხედველობაში კანონის სტატ. 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 85, 94, 95, 96, 101, 102, 103, 135, 138, მესამე ტომისა და მეთხუთმეტისა ჰსჯულთა უგოლოენისა და ისპრაიეტელის სტატ: 1959, 1961, 1965, 1966, და 1967, აღმორჩევის სამსახურსა ზედა.

სამოსამართლო მაჩვენებელი.

თბილისის სამაზრო სასამართლოში 6 იენისისთვის დანიშნულნი არიან მოსასმენლად შემდეგი სამიჯნაო საქმეები—აპელაციურნი: 1) ზემოხორაშნის ტყეზედ, რომელსაც ერთის მხრივ დავობენ თ—ნი სანინაშვილები და მეორეს მხრით აზ—ნი ანდრონიკაშვილები, სს. ახაშნისა, ზემოხორაშნისა, მჭი-



ერთ არ დანიშნება.—ამოსარჩევით ტოპი-
დერში ფიცრის შესაქრებელი ადგილი იქნება
გაკეთებული, სადაც 504 დუბუტატი შეი-
ყრება.

სერბის სკუპტინაში (სახალ-
ხოკრებაში) ამორჩევითის დე-
პუტატებისა, მაგეთი „მილიადანი“ უჩე-
ეს სკუპტინასა, რომ მთავრის მილანის
ამორჩევის დამტკიცების შემდეგ გამოსცეს
რამდენიმე კანონი „მთავრის სიცოცხლის და-
ცვისათვის“. ეს გაზეთი წინა დაუდებს, რომ
დააწესოს საკუთარი რაზმი გვამის მცველებისა
თავისის კომანდირებითა, რომელმაც თავისის
თავით პასუხი გასცეს მთავრის სიცოცხლის
დაცვისათვისა. ეს მცველობა საჭიროა,
რომ იმ გვარი ავი მოქმედება აღარ მოხდეს,
რომელიც მიხილს შემთხვევა. მაგეთი „ზას-
ტავა“, სერბის ნაციონალური ორგანო, არ
ეთანხმება, რომ სკუპტინას ამ გვარი მოვა-
ლდება ჰქონდეს და არც მოსწონს ის გარე-
შობა, რომლითაც მოხდა დეპუტატების ამო-
რჩევა. „ზარის ომიანური შეიარაღება, ბანაკური
მდგომარეობა სერბისა, ამბობს „ზასტავა“,
ეს ცუდი მდგომარეობაა თავისუფლათ
დეპუტატების ამორჩევისათვის, რადგანაც ეი-
საც უფლება და ფული აქვს ამ გარემოებაში
ისე შეუძლიანთ საქმე წაიყვანონ, როგორც
ინებებენ.

ზანსამართლებამიხეილის მო-
კლის საქმისა. თიბათვის 14 (26)
ნემკურ გაზეთებში იწერებინ ბელგრადი-
დგან: „ღღეს დაიწყო სახალხო განხილვა
მიხილის მოკლის საქმისა. მეოპის სახელმწი-
ფოთ ყველა კონსულეტი სასამართლოში იყე-
ნენ. სასამართლოში წარმოადგინეს 13 ბრალ-
დებულნი. იმათ აღიარეს, რომ შეთქმა იყო-
და განზრახვა ჰქონდათ ამ შეთქმით მოე-
ხდინათ სახელმწიფოებრივი გადაბრუნება (вос-
дарственный переворотъ, coup-d'etat) და პე-
ტრე შარა-ბიორგიევიჩი ტახტზე დაესვათ.
სამა ბრალდებულმა სახელათ მარჩიმა, როგი-
ჩმა და ტადიჩმა თავისი თავი ბრალე-
ულათ აღიარეს. აგრეთვე ბრალდებულმა პა-
ელე რადოვანოვიჩმა; თავს ბრალი იღვა და
ამასთან გამოაცხადა, რომ თავის ორ ძმას
ურჩევდა შეთქმაში მონაწილეობა არ მიეღოთ,
მაგრამ რაკი ნახა იმათი მედგრობა, თი-
თანაც აღარ გადუდგა. ბრალდებულმა იფკო-
ვიჩმა გამოაცხადა თავისი უბრალოება და
ისიცა, რომ რაც სამართალში ჩვენება მიეცე-
მო, სულ სატუსაღოში ავით მოპყრობისა-
გამოთ ვთქვიო. სასამართლოს გარდაწყვეტი-
ლება ორ ღღეს შემდეგ იქნება.

ალექსანდრე შარა-ბიორგიევი-
ჩის განცხადება. მენგრეთელ გაზეთში
„ლოლიდში“ დაიბეჭდა შარა-ბიორგიევიჩის
სეკრეტრისაგან (მდინეისაგან) ქვემოხსენებუ-
ლი წერილი, რომელიც ალ. შარა-ბიორგიე-
ვიჩისაგან ხელ მოწერილია: „მას აქეთ, რაც
ტოპიდერის მკვლელობა მოხდა, გაზეთში
მუდამ ამბებსა სწერენ, ვითომც მე და ჩემი
გვარეულობის წევრნი მონაწილენი იყენენ
სამაგელ მკვლელობაში. შმართველათ ვრაც
ჩემ ღირსებასთან, რომ ეს უსენდისო ბრალ-
დებულება დეარღიო; მაგრამ საზოგადო
აზრის პატვის ცემისაგამო, რომელიც უნდათ
შეცდომაში შეიყვანონ, ვალათ ვრაც დავიცვა
ჩემი თავი და ჩემის სახელეულობის წევრ-
ნი უმართველო ყვედრებისაგან, რომელსაც
განავრცელებენ მოსყიდულის რაზმების საშ-
უალებით, რომ მე და ჩემი სახელეულობა
პირ-შავათ გამოიყვანონ სერბისა და მთელი
განათლებული მეროპის წინაშე. ღარწმუნე-
ბული ვარ რა, რომ მიუსყიდელი სიზოგადო
აზრი განჰციხვას შემოხსენებულო ცილის მწა-
მებლებსა, ძალდატანებული ვარ მიემართო კა-
ნონის დაცვასა, რომ შემოხსენებული სი-
რუე მოესპო.“

საქმეების მდგომარეობა სერბი-
აში. შარანტუბულ გაზეთში „ღროებაში“

(Temps) მისის 3 (თიბათვის 12)-დგან ბელგ-
რადიდან კორესპოდენტია დაბეჭდილი, რა-
მელიც რუსეთის და სლოვენების მოწინააღ-
მდეგობით არის დაწერილი. რადგანაც ცნო-
ბაები სერბის პარტიებზე ყურადღების მიქ-
ცევის ღირსია, ამისათვის მოვიტანთ ფრანცი-
ზული გაზეთის ცნობებსა. სხვათა შორის
ყურადღებას მიაქცევს ის ცნობაები კორეს-
პოდენტისა, რომლისაგამოთაც მილანის მთავ-
რათ დასმის მომხრენი თავიანთ განზრახვას
ამყარებენ შარანტის, აესტრის და ანგლის
შემწეობაზე და რუსეთს ამიში კი გამოიცი-
ვენ, რადგანაც რუსეთს ეწინააღმდეგებინ.
შარესანდენტის შეცდომილებას აღმოაჩე-
ნენ საქმენი და დრო; მაინც სერბის ცხლან-
დელ მდგომარეობაში მხედველობაში უნდა
მივიღოთ სხვა და სხვა ცნობაები. ამისთვის
მოვიტანთ შემოხსენებულის გაზეთის კორეს-
პოდენტისა. პი რასა სწერენ: „მიქენ იკით-
ხავთ აქაური პარტიები ერთმანერთს როგორ
უპყრობიან, როგორი პოლიტიკა უჭირავთ და
რა ღონე აქეთ? სერბის ნაცია (ხალხოზა) გა-
ნიყოფება ორ ნაწილათ. ერთ ნაწილს უნდა,
რომ სერბიამ დაიწყოს მსმალეთთან ომი-
ანობა და რუსეთის ან სხვა დიდის სახელმწი-
ფოს შემწეობით შეაერთოს ოსმალეთის სლო-
ვენები და აღადგინოს ძველი სერბის მეფობა.
მეორე ნაწილი უფრო მშვიდია და შორს
მხედველი და ამ საქმეში აქტარება არ უნდა;
ეს ნაწილი იმ ჰაზრისაგან შორს არის, რომ
განიმარჯვოს რუსეთის შემწეობითა და რუსე-
თის გავლენას დაემორჩილოს. ამ ნაწილს
უნდა, რომ შეიკადონ იმ იმედითა, რომ სლო-
ვენების შეერთების ჟამი ახლოა; მაგრამ უდ-
როთ ომიანობისა ემინიან, რადგანაც სერ-
ბიელები რომ, გამარჯვებულნი იყენენ. მსმალე-
თის სახელით უფლება სერბიანზე (*) შეიცი-
ლებოდა რუსეთის უფრო მძიმე უფლებზე;
და თუ არ განმარჯვებდნენ დიდ ხანს, სერ-
ბის ხალხს ღონე გამოეცოდა. ამგვარ ორ
პარტიათ იყოფება სერბის ხალხი. მთავარი
მიხილი მოლოდინების პარტიას ეკუთვნოდა.
მოქმედების პარტია რამდენსამე ნაწილათ
იყოფება იმის მიხედვით, ვის ეინა სურს მთავრათ
დააყენოს, რომ განთავისუფლებისათვის ო-
მიანობას მოჰყვის. ალექსანდრე შარა-ბიორ-
გიევიჩი როგორც სახელი გეაჩვენებს (?) რუ-
სეთს ემორჩილება (?), ჩერნოგორის მთავარი
ამავე სახელმწიფოს უახლოვდება ამ უკანასკნე-
ნელ ჟამში; შოგნი თავის ხმას უფრო სუს-
ტათ იღებენ რუმინის მთავრის ძარლოსის სა-
სარგებლოთ და ხლოთ რუსის მომხრებისაგან
შესდგება; სერბის რესპუბლიკელები სხვებს უ-
ერთდებიან მიხილ მბრენოვიჩის სახლობის
გამოჯავრებით, რომელსაც ძალიან ებრძვიან,
და ამ რამდენსამე წლის წინათ შენევაში გა-
ზეთი სახელათ „თავისუფლება“ დააფუძნეს
მხოლოდ ერთის აზრით, რომ იმათგან მოძუ-
ლებული მბრენოვიჩის გვარი სამთავრო-
ბიდან ჩამოავდონ. ეს პარტიაც მსმალეთ-
თან ომიანობის განზრახვაშია, რომ სერბის
დიდი სამეფოება აღადგინოს. ეს მოქმედების
პარტია, მთავრის მიხილის პოლიტიკის მოწი-
ნააღმდეგე, რადგანაც განიყოფება ნაწილ ნა-
წილათ, ამისთვის იმედია, რომ ამ ჟამათ მო-
ლოდინის პარტია განმარჯვებს, რადგანაც
მრთელს და გაუყოფელ პარტიას შეადგენს.—
ჩერნოგორის მთავრის პარტიას ის შემთხვე-
ვა ეწევა, რომ სერბის მთავრამ მიხილმა
იმას პირმშო ვაჟი მოუწათლა 1864 წ-ს. სლო-
ვენები ნათელ-მირანობას დიდ მნიშვნელო-
ბას აძლევენ, და ნათლია ნათლულისათვის

(*) სერბია და რუმინია (რუმინია შესდებმა მოლ-
დავის და მალახვისაგან) მსმალეთის იმ გვარ ფლ-
ბის ქვეშ არიან, რომ ხონთარბა უნდა დაამტკიცოს
მთავარი და ცოტადე ხარჯი ეძლევა მათგან. სხვა
ფრთვ შინა-გამგებლობაში მსმალეთი არ ერევა, უფლებ-
ა არა აქვს, შეროპის სახელმწიფოების თავდობით
შეკრულია.

მეორე მამა ხდება. მთელმა სერბიამ მხიარუ-
ლებით მიიღო ის ამბავი, რომ მთავარი მიხე-
ლი ჩერნოგორის მთავრის შეილს უნათ-
ლავს და ამით ხედავდნენ სერბის და ჩერ-
ნოგორის სახელმწიფოების შეერთებასა. მაგრამ
ამ პარტიაშიაც განაწილებება და თითქმის გა-
დაწყვეტილ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამათგანი
დიდი ნაწილი მილან ობრენოვიჩის მომხრებს
მიუღებდა იმ განზრახვით, რომ შემდეგ ის
ჩერნოგორის მთავრის ქალს შეერთავს. ეს ნა-
წილი მზათ არის სრულეობა შეერთდეს მი-
ლანის პარტიასთან, ოლომკ კი დაჰპირდნენ,
რომ მომავალში იმათი განზრახვა აღსრულდებ-
და. ალექსანდრე შარა-ბიორგიევიჩის ის ძალა
და სისუსტე აქვს, რომელიც ყველა პრეტენ-
დენტსა სჭირს, ვისაც კი მამასამეფო ტახტ-
ზედა სჯდომია. მრთის მხრით ნათესაობა ჰყავს
დიდი, მეორეს მხრით სერბიამ არ უყვართ
იმისი გვარეულობა, რადგანაც იმის მამის ცუ-
დი მმართველობა კარგათ ახსოვთ. იმის პარ-
ტიას იმედი არ უნდა ჰქონდეს და ამასთან
ხალხშიაც გავრცელებულია, ჰაზრი, რომ მი-
ხილის მოკლაში ურევიოა. რუმინის პარ-
ტიაც ძალიან სუსტია და ჩემის აზრით სკუპ-
ტინაში (სერბის სახალხო კრებაში) თუ
ბრძოლა განმართა, ჩერნოგორის და მილანის
პარტიებში უნდა გამართოს, რადგანაც მოქ-
მედების პარტია პირველთა შეერთდება, ხო-
ლო მოლოდინების პარტია და რუსეთის მო-
წინააღმდეგენი მილანის პარტიასთან. პირვე-
ლი პარტია მიემხრობა რუსეთსა და პრუსიასა;
მეორე შარანტისა, აესტრისა და ანგლიასა.
მგონებ საქმე ესე ვათავდება, თუ სხვა რომ
არა გამოსტყეა რა. ამ ორ პარტიათგან რო-
მელი განმარჯვებს—მე ამას ადრევე არ ვიტყ-
ვი, რადგან ადვილათ იქნება მოხდეს, რომ
ჩემი წინათ თქმულია საქმების მომდინარე-
ობამ გააცრუოს.“

ბ ე ლ ე ზ რ ა მ ე მ ბ ი.
პეტერბურგში მიღებული.

პარიში 14 (26) თიბათვის. ღღევანდელ
კანონის-მდებელ კრებაში 210 ხმის ქარბო-
ბით 13 ხმის წინააღმდეგ მიიღეს მთავრობის
წინა დადება, რომ 1869 წლისათვის სალდა-
თის მოკრება 100,000 კაცისა მოხდეს.

ბელგრადი 17 (29) თიბათვის. მანცხადება
სასამართლოს გადაწყვეტილებისა მიხილის
მოკლის შესახებ გადასდევს იმ მიზეზისა
გამო, რომ მარჩიმა სხვა დასამატებელი ჩვენე-
ბა გამოაცხადა. მამოძიება გრცელდება და
სხვებსაც ატუსაღებენ.

ლონდონი 18 (30) თიბათვის. ლორდე-
ბის პალატამ უარ ჰყო ბილლი სახელმწიფო
ეკლესიისა ირლანდიაში 192 ხმის ქარბო-
ბით 97 ხმის წინააღმდეგ.

ბელგრადი. 18 (30) თიბათვის. ტოფშიდე-
რის ბალში სხრეკენ 750 რევილევრსა, რო-
ბლითაც უნდა შეიარაღებულიყვნენ ტოპი-
დერის ცხეში დატუსაღებულები ბელგრადის
დასაქერათა.

რომი. 18 (30) თიბათვის. რომის ქალა-
ქის ქუჩებში გაკრულია პაპის ბულა, რომ-
ლითაც რომში მოიწოდებს პაპი მსო-
ფლიო ლათინის კრებასა გიორგობისთვის 26
(ქრისტიანობის 8) სამემრისით 1869 (და არა
1868).

ისტორიის მასალისათვის.
ნიხრადებულება.

ქ ჩვენ. მფეშან სდ. იმერთამან და ერთობით.
ყდ. სამღვდელთა. და თავდათა. იმე-
რეთისათა. დაესდევით. განწყება. ესე. მტკი-
ცი. უცვალბლად. სჯული. სამოქალაქო. და
სამართალი. მეფობრივი. გვიძულებს. ჩვენ თა-
ნამდებობითთა. კეთილ. მზრუნველობითა. ერი-
სათვის. სამეფოსა. ჩვენისა. რათამცა. საკუთა-
რისათვის. სარგებელისათვის. თითოეულთა.
არ. აქენდეს. საზოგადოარობისა. მწუხარება. ვი-

ნიღვან. ცხოვრება სიტყვიერი. წაფხმართების.
საჭიროთა სახმართა ნიეთთაგან. და სადაცა.
არს. დამჭირნობა მათი მუნ. არს. განმწარე-
ბა. ქერიეთა. ობოლთა. და გლახკათა. რომ-
ლისათვისცა. თენიერ სჯულთა. მეფობრივ-
თა. ითხოვს სჯულთა. ბუნებითი და უეჭუ-
სად. სჯულთაცა. ბუნებითაცა. გვიბრძანებს.
სჯულის დება. ქრისტიანებრი რათა შეპირე-
ბულთა. და გლახკათა. ერთა. თანა. საზოგა-
დოთა. აქენდეს. ნუგეშინის. ცემა. ნიეთთა
შორის. საჭიროთა. და სახმართაცა. ამისთვის
დაეყენეთ წესი აღშლილი. უკანონოა ვაქ-
რობისა. მოაზრეთაგან. საკუთარისა სარგე-
ბელისა. თვისისათა. და პირველსა ფასსავე.
ზედა გადაკვეთეთ. ყოველნი საჭირონი. და
სახმარნი ნიეთნი. საზრდელთა. ანუ სამოსელ-
თანი, რომელნიცა იბოვბიან. შინაგან. სამე-
ფოსა. შინა იმერეთისასა. და განაწილეთ. რა-
თა შემდგომად ღღეთა ამათ განეპრდებოდეს.
გამსყიდველთა. და მსყიდველთაგან. ფასითა
ქვემო. აღწერილითა.

ქ ღენო საპანე სამ მარჩილათ. სამი დოქი
ერთ რუბათ. ქური ორი ბათმანი ორ რუ-
ბად. ქ ღომი ორი ბათმანი ორ რუბად. ქ
თუთხმეტ ფრათ. ბათმანი ორი ქ ქილოფი
კარგი ათ ფრათ. ქ ლობო და ცერცი ბა-
თმანი ორი თუთხმეტ ფრათ. ქ ხარი დიდი
და მსუქანი. ოც მარჩილად. მაზედ ნაკლები
თუთხმეტ მარჩილად. გახენილი ხარი დიდი
თორმეტად და უნცროსი თერთმეტად. სამი
წლის ხარი ათ მარჩილად იმაზედ ნაკლებ რად
შვიდად და ექვსად. და წლასა ოთხ მარჩი-
ლად. ქზროხა დიდი და მსუქანი ხოიანი თორ-
მეტ მარჩილად. და უხბოვო ზროხა დიდი და
მსუქანი ათად მაზედ ნაკლებ ათ რუბად.
ქ ცხვარი დიდი ორი წლისა მსუქანი ას ფრად.
წლისა ორ ყურუშად და კრავი ოთხისა და
სამის თვის მარჩილად და იმაზედ დამცრო კი
ყურუშად. ქ თხა ვაცი დიდი და მსუქანი ათ
რუბად ნეზევი დიდი და მსუქანი ფრად მა-
ზედ ნაკლებ ორ ყურუშად. და წლისა მარჩი-
ლად. ქ ღორი დიდი და კარგი ტახი ათ რუ-
ბად, ნეზევი კარგი და მსუქანი ფრულად და
წლისა მარჩილად. ქ გოჭი ორი და სამი
თვისა რუბად და ნაკლებ ათად და რვა ფრად
ქ ქათამი ყვერული დიდი ათ ფრად. და ღლი
რვად. ვარია ხუთ ფრად. წიწილა ორ ფრად
და ფარად კვერცხი. ხუთი ერთ ფრად. ყვე-
ლი ჩარეკი უპაროლო ორ შაურად და მარჩი-
ლიანი ათ ფრად. ქ კარგი ტყავი. ფრულად
მდარე ორ ყურუშად ქალამანი რუბად. ქ ერ-
ბო ჩაოქი. სოფლიდგან ორ რუბად და ქა-
ლაქადგან ყურუშად. ქ გამორჩეული წყვი-
ლი დოში ყურუშად ნაკლებ მაზედ ორ რუ-
ბად. ქ გამორჩეული ზურგიელი ყურუშად.
მასზედ ნაკლებ ორ რუბად. ქ კულა ზურგიე-
ლი რუბად. წვრილი წქელა ოც ფრათ კარ-
გი და მდარე აბაზათ. ქ კარგი ზუთხი სამ მა-
რჩილად (ზუ) დიდი. მაზედ ნაკლებ ფრულათ
კილე. მაზედ ნაკლებ მარჩილად და მეოთხე
მონცრო ზუთხი ყურუშად. ქ გამორჩეული
ფარვა ათ ფრად მაზედ დამცრო ხუთ ფრად.
ქ ფიხული ჩარეკი რუბად და ჩარეკი კალპა-
ხი აბაზათ. ქ მენახევერე კოკა ექვს ფრად
ხან სამ ფრად. დოქი ერთ ფრათ. და ღლი-
რა ფრათ. სულ დიდი ქოთანი ერთ ფრათ
და მონცრო ორი ერთ ფრად. ქ დიდი გო-
ბი ექვს ფრათ თეფში სამ ფრათ და ჯამი
ოთხი ერთ ფრათ. ქ ფხარი ბაწარი შა-
ურად და ისე მონცრო ბაწარი ფრად.
ქ ოკა ხორცი მზროხისა და ხარისა კარგი
შაურათ. ასე თხისა ასე ღორისა. ჩარეკი ხი-
ზალალო რუბად. ქონის სანთელი კარგი
რწყვილი ფრად. ქ სულ კარგი გამორჩეული
ქართული ლაფინი ორ ყურუშად. მდარე
მარჩილად იმერული ლაფინი ყურუშად. კა-
რგი ლანჩა რუბად ქ. ხახვი ბათმანი ექვს ფა-
რათ. ქალაქის გამომკხვარი პური ოკა სამ
ფრათ. ქ ამ ზემო წერილს ნიეთებზედ გან-
წყებულს ფასზედ რომელიც მეტად გაყიდის

როგორც მეფისა და ქვეყნის ორგულს ისე უნდა მოეციხოს. და ასე მარჩილი ჯარია გარდახდეს და კიდევ რომელიც ამ ფას გარდაკვეთილს ნიუთებს აქედამ სხვას ქვეყანაშიდ გასასყიდლად წაიღებს საქონელი რაც იყოს დამჭერსა და წამრთმევს და ასე მარჩილი ჯარია ბატონს მეფეს მიერთვას დაიწერა ნიხრადებულგება ესე მისის კ. წელთა ჩუქ კარგი სახნისი ხუთ რუბათ. კარგი დიდი ცული ხუთ რუბათ. კარგი თოხი ორ რუბად. წალდი ერთ რუბათ. გაუყეთებელი რკინა ერთი ჩარეკი ერთ რუბათ ქ ყურუშად ერთი ჰედა ნალი და ლურსმანი.

აქ არის დასული იმერეთის მეფის სოლომონის ბეჭელი.

აქ იმერეთის მიტროპოლიტის გენაულის ბეჭელია.

ამ ნიხრადებულების (ტაქის)წერილში მოხსენებული ძველი ფულის სახელობითი ფასობა (ნომინალური ცენიუზი) უკანასკნელ დროს იმის ხმარებისას უდრიდა რუბათ ხმარებულ ფულსა ამგვართ:

- შარა — 1/6 კობეკისა (ექვსი ფარა ერთ კაფეკს შეადგენდა)
- შაური — — — 4 ფარა.
- რუბი — — — 13 ფარა.
- აბაზი — 4 შაური, ანუ 17 ფარა.
- ჭურუში — 3 რუბი, ანუ 40 ფარა.
- მარჩილი — 4 რუბი ანუ 52 ფარა
- შლური — 2 მარჩილი, ანუ 104 ფარა.

ტანსაცმლის უზომოთ ხმარება.

ატლტურა არის კაცობრიობის სურვილი, რომ გაწყობილი ცხოვრება მოაპოვოს, ყოველივე საქირება დაიკმაყოფილოს, კომფორტი ჰქონდეს. ამოფორტი ესმის მხოლოდ ნამდვილ განათლებულ ადამიანსა. ველური, ტყის კაცი სიამოვნებაშია ზიზილ პიილიებითა და ბრწყინვალე მორთულობითა; მცირეთ გახსნილ, გაუნათლებელ კაცს სადღესასწაულო სიმდიდრე ურჩევნია და სამუდამდღო ბინძურება, უწყინდრობა და ჭუჭყი, ვირემც სწორი საყვედღლეო ზომიერი კმაყოფილება, სიმდიდრეს, ფუფუნებას, უზომობას ეწინააღმდეგებოდნენ კანონმდებლები, მწერალნი და სარწმუნოების მოქადაგენი, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, ამიტომ რომ იმისი წინააღმდეგობა შეუძლიან მხოლოდ საზოგადო განათლებას. მოვიტანთ ჟურნალის „მეროპისგან“ მცირე სიტყვას ტანსაცმლის უზომოთ ხმარებაზე.

„ჩვენ უნდა ზომიერათ ვილაპარაკოთ, ან სრულებით მოვსპოთ ლაპარაკი კრინოლინების (ჩვენებურათ ხაბარდის) წინააღმდეგ; აქედან არა გამოდის რა. ეს მიზეზი მხედველობაში უნდა გვქონდეს და ღირსია შეწყნარებისა. მოდის საქმეში ქალები ძალიან შეურყეველი არიან, ძალები იმას ჩადიან რაც უნდათ და არ ჩადიან იმას, რაც საჭიროა. მისაც ამის დამტკიცება სურს, ამისთვის ისტორიულ დამტკიცებას მოვიტანთ. მეთოთხმეტე საუკუნედან მოყოლებული მღვდელთა და მართებლობები ლაპარაკობდნენ ქალების მოდის წინააღმდეგ, და მწიგნობრე საუკუნეში ისევე ამ ლაპარაკს ეხედავთ, მაშასადამე იმათი შრომა ამათ დარჩა. ძალის მორთულობის, კრინოლინის წინააღმდეგ ჰამბურგის ქალაქის ფასტორმა ლუკა მლიანდერმა დაბეჭდა გაკიცხვის ქადაგება. სხვათა შორის იმაში სწერია: „უცხო ქვეყნებიდან შემოვიტანეთ სულელი ტანსაცმლის უზომობა, სახელდობრ ქალების კაბის ქვეშეთი რკალები. ამ მორთულობის სიმშენიერე და სარგებლობა ეს არის: როდესაც ქალი სტოლთან ახლოს მივა ან დაჯდება, ამ რკალებისაგან კაბა ისე ზემოთ ნახევარ არწინზე აიწევს და ქვეშედამ გამოჩნდება ქვედა ტანსაცმლის კუთვნილება.“ ეს დოქტორი ლუკა მლიანდერი მოკვდა, კრინოლინი კი ისევე ცოცხალია. მრთელის ასობით მმართველობათგან დაწერილ

კანონებისაგან ტანსაცმლის შესახებ არა დარჩა რა ერთის ოხუჯურ ანდაზის გარდა: „ეს წინააღმდეგია ტანსაცმლის დებულებისა.“ ბონიერი კაცები მაშინვე ხედავდნენ ამ დებულებათ ურგებობასა. მრთმა მწერალმა ლექსები დასწერა: „საქმელ დებულებებს ტანსაცმლის შესახებ არც სრულათ არც ნაკლებათ არ ასრულებენ: მაღალის უფლების ბრძანებას ქუჩის ყოველ კუთხეში დასცინიან.“

ტანსაცმლის უზომოების წინააღმდეგ დებულებანი მრავალნი არიან და ბევრს გვატყობინებენ ძველ დროების ჩაცმა დახურვის გარემოებასა. ამითი ჩვენ ვხედავთ იმ დროებას, როდესაც ისეთი ადამი იყო, რომ ტანსაცმლისთ უნდა გაეჩინათ კაცი რა ადგილი ეჭირა საზოგადო ცხოვრებაში. პირველათ ქალაქებში დაიწყო ტანსაცმლის დებულება, მას უკან დაიწყო თავდაზნაურობამ, სხვა და სხვა განკერძობულს ადგილებს მთავრებმა; ბოლოს იმათი შრომა რომ ცუდათ დარჩა, სახელმწიფოს მმართველობა გაერია საქმეში. მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში (1496-დან 1577-წლამდის) ნემეცის სახელმწიფო კრებები (სეიმები) ტანსაცმლის კანონ-დებულებასზედა შრომობდნენ და ამასთან ხელმძღვანელათ მიღებული ჰქონდათ, რომ „ტანსაცმლის უბრალო უნდა იყოს, მართებული და იაფი, რომ ყველა კაცი, რაც უნდა ჩამომავლობისა და ღირსებისა იყოს, ტანსაცმლის ჩაცვას თავის წოდების და შეძლებისდაგვართ, რომ ზედ ეტყობოდეს რომელ წოდებას ეკუთვნის. რადგანაც ტანსაცმლის უზომოება მთავრებისა, რანდებებისა, თავდაზნაურობისა, მოქალაქეთა დაგლეხთა იქამდინ მივიდა, რომ არათუ თითოეულათ, არამედ მთელი თემობა და ადგილობა გაღარბდა და საზრდო მოაკლდა, რადგანაც ფარხა, ხავერდი, ატლასი, უცხო ქვეყნის ხელცახოცი, მარგალიტი და ოქრო საშინლათ აღარბებს, აცრიელებს ხაზინასა, და შურიანობამ, შეჯიბრებამ და შეცილებამ ჩაცმა დახურვაში შეამცირა, შეამსუბუქა ქრისტიანური სიყვარული, და ჩაცმა დახურვის უზომოება ისე გაურჩეველია და ზომიდან გასულია, რომ განსხვავება არ არის ერთმანერთში, და ამისთვის მორიგებით ჩვენ კურფურსტებთან, თავადებთან და სხვა მოხელეებთან ერთათ დაფაყეთ გამოვეყთ ტანსაცმლის შესახებ დებულება.“ საქსონიაში 1596 წ. გამოვიდა ბრძანება, რომლითაც აღკრძალვობდა ყოველგვარი კეკლუცობა, თვალ მარგალიტით მორთულობა საზოგადოთ ხმარება ხავერდისა, ფარხისა, ოქრომკედის ნაკერისა, ოქრო მკედის არწიებისა, ძვირის კრუჭებისა, ძვირფასი ლენტებისა და ბეწვისა.—მეთოთხმეტე საუკუნეში ბრაუნშვეიგში აკრძალულიყო ოქროსი, ვერცხლისა და მარგალიტის სამკაულის ხმარება, მხოლოდ რვა წლამდის ემაწიელებს შეეძლოთ ამაებით მორთულობა. შემდეგ ბრძანება გამოვიდა რომ ქმრიან ქალს ქორწილში და ნათლობაში კანონით დანიშნულზე მეტი ოქროს და ვერცხლის სამკაული არ ეხმარა.

ზოგიერთმა მთავრებმა მაგალითიც მისცეს თავიანთ გამოცემულ კანონების ასრულებით თავის. უკანასკნელმა მთავარმა ბრაუნშვეიგისამ როდესაც თავისი ჯარი გადასცა, მოითხოვა ერთი ტანსაცმლის საზაფხულო და მეორე საზამთრო. სხვა მთავარმა ბძანა, რომ თავის უმცროსს შეეღოს წამოსასხამთ უფროსი შეილის ძველი წამოსასხამი გალაუკეთონ. დანარჩენი შალეარზე მოახმარონ.

აქ უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენ შიაცა ყოფილა ადრე ამგვარი აკრძალვა. მაგვიგონია, რომ მეფე მრეკლის დროს ტფილისში აკრძალული იყო მოქალაქობაში ოქროს სამკაული ეხმარათ, ატლასბაფთის ახალუხი და კაბა, შეიდიში. ამავების ხმარება მაინც ყოფი-

ლა ქორწილებში და წვეულობაში. მხოლოდ რა კი დანახადდნენ, რომ დარბაზის სანათურადგან მხვერაეები იხედებიან, მაშინვე ოქროს ძეწკეს ქალს ზედ ყელზედ ჩამააწყვედნენ დელები. თუ თვალს შეასწრებდნენ მხვერაეები, მეორე დღესვე მეფისაგან კაცი მიუვიდოდა იმ ოჯახში და ან ხარჯი მოგატებოდა ან ის მორთულობა უნდა გამოართმეოდათ. მრთი ყალბქრის ახალუხი რომ ჰქონოდა ვისმე ან ორი ქათბა, ერთი წაერთმეოდაო.

ოსმალეთის მმართველობის მკაცრის ამბავი.

ოსმალეთის უფროსები რა შემწობას აძლევენ შიმშილისაგან სასოწარკვეთილებამდის მიყვანილ გერცოგოვინელებს.—ჯამაგირის მიცემისთვის ოსმალეთის შემოღებული ახალი საშუალება.—გერცოგოვინელების სურვილი განათლების გავრცელებისა.—რუსების შესაწირვი და იმათი მოხმარება.—სალაშქრო მზადება ოსმალეთშია და ატლასიაში.

„დროების“ 23 №-ში მკითხველები წაკითხვადნენ ჩერნოგორიისა და გერცოგოვინის საშინელი სიმშლიის ამბავს და ამასთან იმასაც შეიტყობდნენ, რომ გერცოგოვინელმა მოვაკრებმა ტრეტიტგან თავიანთ მიწაწყლის დამშეულ ხალხს ორი გემი პური გაუგზავნეს რალუზაში—დასარბებლად.

მოხსენებულ „დროების“ ნომერში ისიც იყო, რომ ტრეტიტის ყაიმაქამს (გუბერნატორს) აუკრძალავს მცხოვრებლებისთვის ბოშკოვიჩებისაგან (რომლებსაც ჰქონდათ ჩაბარებული პური დასარბებლად) პურის მიღება. ახლა იმას ვაცნობებთ მკითხველებს, თუ ამ პურის მიღების აკრძალვა რასაბუთით მოუხდენია ყაიმაქამს (გუბერნატორს).

ბოშკოვიჩებმა რომ პური მიიღეს (როგორც „რუსული ინვალიდის“ კორესპოდენტი იწერება), ტრეტიტის ყაიმაქამს ნების დართვა სთხოვეს, რომ იმის ხელგებით მარზის თავი კაცები მისულიყენ რალუზაში (სადაც პური იყო მიღებული) და მიეღოთ პური. ამ თხოვნის შეძლე ათი დღე გავიდა, მაგრამ პასუხი არსად იყო. მერე იფიქრეს, რომ ყაიმაქამი ამისთანა კაცთმოყვარებით საქმეს რასაკვირელია არ ეწინააღმდეგებოდა, და იმის პასუხს აღარ მოუცადეს;—გაუგზავნეს გერცოგოვინის ყველა თავი კაცებს და სასულიერო პირებს თხოვნა, რომ იმათ წარმოედგინათ გაქრებული სახლობების სია (სარწმუნოების გაურჩეველად—ქრისტიანებისაც და მამაღიანებისაც) და ამასთან ისიც უნდა აღენიშნათ სიაში, თუ რომელ სახლობაში რამდენი სულია. ეს სია რომ მიიღეს ბოშკოვიჩებმა,—ამ სიის მიხედვით გაყვეს პური და ვისაც რამდენი შეჰხედებოდა—ურბებდნენ კიდევცა.

ეს რომ ტრეტიტის ყაიმაქამმა შეიტყო, მაშინვე აუკრძალა თავის ხელქვეითი მარზის მცხოვრებლებს რალუზაში ბოშკოვიჩებისაგან პურის მიღება, და მასთანვე ერთი გაკეთებული კაცის, გვარად მოვაჩევიჩის, ციხეში ჩასმაც ბძანა. როგორც ამბობენ ამ მოვაჩევიჩის დატუსლება იმ განზრახვით უნდოდა ყაიმაქამს, რომ, რადგან ის მდიდარი და დიდი ვაჭრობის მექანე იყო, არ მოინდომებდა ციხეში ჩაჯდომას, და თავის დასახსნელად ყაიმაქამს იმდენ ფულს მისცემდა, რამდენსაც კი გუბერნატორი მოინდომებდა. მაგრამ ყაიმაქამის ფიქრი არ აღძრულა, რადგან მოვაჩევიჩი გაიქცა და იმის დაჭერა ვერ მოასწრეს. მაშინ მოვაჩევიჩის სოფლიდან რამდენიმე გაკეთებული კაცები მიიყვანეს იმასთან იმისმა დესეტნიკებმა. შიმაქამი ძალიან გაურისხდა ამათ და მოვაჩევიჩის გაქცევისადაც იმათ აბრალებდა; ბოლოს გამოუცხადა, რომ ვინც რალუზაში წავა პურისთვის ბოშკოვიჩებთან, ის ფაღიშაპის მოღალატედ ჩითვლება და დიდს სასჯელს მიიღებსო. შედეგური სოფლები ხმის

მოუღებლად გამოვიდნენ ყაიმაქამის სახეზე ბელიდგან და რასაკვირელია კურანსკისა და ველადნენ ბრძულ და კეთილ-გონიერულ ოსმალეთის მმართველობას და იმის ქრისტიან მზრუნველებს—მეროპის მმართველობებსაც.

თით რალუზიდან მწერენ (ამბობს „ინვალიდის“ კორესპოდენტი), რომ გერცოგოვინელები უკანასკნელ მდგომარეობაში არიანო და შიმშილისაგან სწორედ ბუზებივით იხიციებიანო. იქაური მცხოვრებლებს სასოწარკვეთილებას ზომა არა აქვსო და ამის გამო ოსმალეთი ყოველ წამს არეულობას მოელოდებიანო.—ან კი რაგასაკვირელია, რომ მართლა არეულობა მოხდეს. იქაური კორესპოდენტი იწერება, რომ რალუზაში ყოველდღე მოდიან ტრეტიტიდან დამშეული დედაკაციები და დიდიდგან საღამომდის დგანან ჩვენ (რუსის) საელჩოსთან და ბოშკოვიჩების კონტარასთან, და შემწობას ითხოვენ. მარგია კიდევ, რომ ბოშკოვიჩები იმათ ცრტა შემწეობას მაინც აძლევენ, თორემ სულ დიხიციებოდნენ ქალაქში, სადაც კაცი სიმშლიის ნიშანს სულ ვერა ჰხანავს.

ოსმალეთის წარმომადგენელი რალუზაში არის ერთი სლოვენი-კათოლიკი—შერსილა, რალუზიდანვე, რომელი სულით და გულით ოსმალეთსა და მამაღიანებს ეკუთვნის. ეს ყაიმაქამის განკარგულებას ამართლებს იმით, რომ ბოშკოვიჩებმა არ შეატყობინეს იმას პურის დარიგება. იმის სიტყვიდგან გამოდის, რომ ტრეტიტის ქრისტიანები თითონვე არიან დამნაშვები, რომ უპურით რჩებიან. ის გასამართლებლად მაღაზიებზედ უჩვენებს ყველას. ტრეტიტში და სხვა გერცოგოვინის ქალაქებშიაც არის პურის შესანახავი მაღაზიები და იმის უფროსები ყოველთვის მიჰყდიან იმათ პურს ნახევარ ფასათო. ეს იმის გამართლება სულ ტყრილია. ბოშკოვიჩებს ყაიმაქამის შეუტყობინებლად არაიენ მიუწვევიათ პურის წასაღებათ. თავიანთი თხოვნის პასუხს ათი დღეც უცადეს. პურის მაგაზინებისა კი რა მოგახსენოთ,—იმათ არც ამითი შეუძლიანთ დაკვეხნა. ამ მაგაზინების ამბავსაც გაიამბობთ.

ოსმალეთმა რაკი იგრძნო, რომ, თავის მუდამი კოტრობისა გამო, ჯამაგირს თავის დროზედ ვერ დაურიგებდა ჯარებს და სამოქალაქო მოხელეებს, ეს გვარი საშუალება მოიგონა. შეელო მაზრაში, სადაც კი ოსმალეთის ჯარი დგას, რამდენიმე საცავი მაგაზია გააკეთა, რომლებშიაც ინახება სხვა და სხვა გვარი ცხოვრებაში სახმარი ნეთი: სასმელი, საქმელი, ტილო, მათი და სხვ. შეელო სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთ შეუძლიანთ ამ მაგაზიიდან გამოიტანონ, თამასუქის მიცემით, ყოველი ფერი, რაც საჭიროა იმათთვის. ამ წაღებულ ნეთებში იმათ ურიცხვად შემდეგ ჯამაგირიდან, რამდენსაც გუბერნატორი დაჰნიშნავს. ამასთან ისიც უნდა ესთქვათ, რომ, ოსმალური სიხარბისაგან, გუბერნატორი იმდენს ურიცხვად ჯამაგირიდან, რამდენსაცკი მოისურვებს, ასე რომ საწყალი მოხელე, თუ მეტადრე დიდებსაც არ იცნობს, არა თუ თავის ჯამაგირსა ჰკარავს, არამედ გუბერნატორიპირიპით ვალსაც დაადებს ხოლმე იმას. თუ ოსმალეთი ამ გვარ ანგარებასა და ჩარჩობას სჩადის თავის მოხელეებთან, მაშ იმის ქვეშეცდომი ქრისტიანები რაღა კეთილს უნდა მოელოდნენ იმისგან? მაგრამ ესთქვათ, რომ უ. შერსილი მართლა ამბობს და ყველას შეუძლიან იმ მაგაზინებში პური ნახევარ ფასად იყიდოს; მაინც განა შეიძლება მოითხოვონ საწყალი დამშეულისაგან, რომ იმას ნახევარ ფასად ნაშოენი პური ერჩინოს მუქთად ნაშოენ პურს? მე ეს ყოველიფერი იმისთვის მოვიყვანე, რომ მკითხველმა ნამდვილი გაიგოს და ოსმალეთის მოყვარე გაზეთებს არა დაუგეროსო.

156/26

მომცა ეს უბედურება ადგიათ გერცოგო-
ვინელებს, მაგრამ მინც განათლებად ფი-
ქრობენ, მხლა აპრობენ ერთი სასწავლებ-
ლის გახსნას, ვაჟებისთვის, მაგრამ შეძლება
არა აქვსთ იმდენი, რადგან, შიმშილის გარდა,
ახირებული ხარჯისა და ბეგარისაგანაც არიან
სრულებით გასაწყლებულნი, სახლს ერთი მო-
ნსტერი აძლევს ამ სასწავლებლისთვის, მაგრამ
განა სახლის მეტი აღარა არის რა საჭირო?
მინც თავიანთ აზრის აღსრულება ძალიანა
ჰსურთ და ამისთვის ისინი თავის ერთ-მორწმუ-
ნე რუსებისაგან ითხოვენ შემწევობას.

რუსებს ბევრჯერ გაუგზავნია შემწევობა
იქაური მონასტრებისთვის და სასწავლებლე-
ბისთვის, მაგრამ ამ შესაწევარ ფულებს თა-
ვის დანიშნულება თითქმის არც ერთხელ არ
აღსრულებია. შესაწევარი ფულები მიუღწევი-
ათ იმ პირებისათვის, რომელთაც ოსმალეთი-
საგან ჰქნიათ მინიჭებული უფლება; იმათაც კი
უფიქრიათ იმ ფულების დანიშნულ გზაზე გა-
ტარება. საქმე ის არის, რომ იქაური დიდი
კაცების ნდობა ძნელია, ამბობს „ინვალი-
დის“ კორრესპონდენტი, რადგან იმათ დიდი
ალგამდის მიუხეცივით პატიოსანობითა და
ღვაწლით კი არა, არამედ სხვა და სხვა ვერა-
გული ქცევითა და ხალხის წინააღმდეგი საქ-
მეებითაა. მსმალეთში იმისთანა პირნი, რომ-
ლებიც პატიოსანნი და ხალხის ერთგულნი
არიან, ვერაოდეს ვერ მიადწევნენ დიდ ალა-
გებს. ამისთანა პირნი ან სასურობლებებში
იღუპებიან და ან თავიანთ ქვეყნიდან შორს
სამდამე გაძევებულნი არიან. ამის მაგალითად
შეიძლება მოვიყვანოთ ღირს პატივისცემი
არხიმანდრიტი დედნი, რომელიც იძულებ-
ული იყო გერცოგოვინდგან გაქცეულიყო.

ამ ოთხი წლის წინად რუსეთში წასულა
ერთი გერცოგოვინელი არხიმანდრიტი ფუ-
ლების მოსაგროვებლად, რომელიც ვითომც
აკადემიის გასასხნელად ჰნდომებია. რასაკვირ-
ველია ამისთანა კარგი გაზრახვით მოსული
არხიმანდრიტის კარგა უმპასიონდლიათ რუ-
სებს და ბევრი შესაწევარიც მიუტიათ ნათქ-
ვამი აკადემიისთვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ
იმას აკადემიის მაგიერად ერთი დიდი სახლი
უყიდნია და ზოგიც სარგებლით გაუტია (ახი-
რებული სარგებლით), აგრეთვე ვიპაჟიც უ-
ყიდნია მენაში (გავლით) და თავის სახლიდ-
გან მონასტრამდის შოსვე გაუკეთებია თავის
ეკიპაჟში საიერნოდ.

ამაზე წინ კიდევ სხვა ყოფილა რუსეთში
ფულების მოსაგროვებლად გერცოგოვინის
ეკლესიებისა და მონასტრების სასარგებლოდ.
მაგრამ იმანაც თურმე დაიწყო ერთი ეგება
ეკლესიის შენება და ნახიარზე თავი დაანე-
ბა, ვითომ იმ მიზეზით, რომ ფული შემოა-
კლდა.

ამის გამო „ინვალიდის“ კორრესპონდენ-
ტი ამბობს, რომ ვისაც ოსმალეთისაგან უფ-
ლება რამე აქვს მინიჭებული, იმას არ შეიძ-
ლება სრულებით მიენდოს კაცია. და ურჩევს
ყველას, ვისაც შეწევნა უნდა გერცოგოვი-
ნელებისთვის, რომ იმან შესაწევარი რუსეთის
ელჩს წარუდგინოს, რომელიც დანიშნულ
ალაგას გადასცემს.

ზევითა ესთქვით, რომ ოსმალებს ეშინიანთ
აღრეულობა არ მოხდეს შიმშილისაგან შეწუ-
ხებულ გერცოგოვინის მახრებში. ამის გამო
ისინი აშენებენ და ჰმართვენ სიმარგებს იმ
ალაგებში, რომერთაც უფრო მნიშვნელობა
აქვსთ რამე. ამასთან ისიც ეფიქრებათ ოსმა-
ლებს, რომ სერბიაც არ მიუდგეს გერცოგო-
ვინელებს, თუ ვინცობა ისინი ადგენენ. ამის
გამო ოსმალები ძალიან ბევრით თვალ-ყურს
ადევენ იმ სოფლებს, რომელნიც სერბიის
ახლოს მდებარებენ, და ამასთან ნიშიდგან მო-
ყოლებული სერბიისა და გერცოგოვინის საზ-
ღვარზედ სიმარგებს აშენებენ.

ოსმალების მეგობარ ავსტრიელებსაც არა

სძინავთ. როგორც ამბობენ სარწმუნო პირ-
ნი, ავსტრიის მმართველობა აღრიატის ზვის
კიდებდნენ აპრობს ორი გამაგრებული ბანაკის
გაკეთებას. ამასთან ნამდვილად ვიცი (ამბობს
კორრესპონდენტი), რომ რალუსის გუბერნა-
ტრის კანცელარიიდგან რალუსისა და პატრა-
რის (ესენი ავსტრიას ეკუთვნის) მაზრის უფ-
როსებს მიწერილობა აქვსთ გაგზავნილი, რომ-
ლის ძალით იმათ სასწრაფოდ უნდა აცნო-
ბონ, თუ რამდენი ჯარი დაეტევა აღნიშნუ-
ლი მაზრის სოფლებში. ესეც უნდა ესთქვათ,
რომ რალუსასა და ბოკა-დი-პატაროში დიდ
ძალი სამხედრო იარაღია გაგზავნილი. აგრე-
თვე ამ ცოტა ხანში, ამბობენ, რალუსაში წა-
სულან ინჟინერები-ტოპოგრაფები იქაური
მდებარეობის დასათვარიელებლად და ოსმა-
ლეთის საზღვრის გასაშინჯავად.

სხვა და სხვა ამბავი.

მალე ბის ჯარი. ბაზოში ამტკიცე-
ბენ, რომ სამხრეთ ამერიკაში, პარაგვაის რეს-
პუბლიკაში, იქაურ პრეზიდენტს შეუდგენია
ქალების ჯარი. ამათი რიცხვი არა სჩანს.
მლისაბედ ლინჩს, გასათხოვარ ქალს, ამ ჯარის
ბრიგადის გენერლის ჩინი აქვს; კომანდირება-
თაც ქალები არიან. ეს ქალების ჯარი სა-
ყურვლათ იტანს შრომასა და გიჭირვებასა
ომიანობის დროს.

დასჯილი ძუნწი. პარიჟთან ახ-
ლოს ერთი საშინელი ძუნწი მამულის
მეპატრონე სცხოვრებს. თავის სახნაე მა-
მულში დადიოდა ამ ახლო ხანებში ერთ
დღესა და დანახა თეთრი მოდილო ბოლო-
კის მზგავსი ძირები. ამ მუქთა საქმელმა მი-
იტყუა, ბლომათ მოაგროვა ეს ძირები, მოი-
ტანა შინ და მოახლეს მისცა, რომ ვახშამ-
ზე მოართვას. მახშამთ მუქთა ხორავს ძალიან
შეექცა ჩენი ბატონი და ვახშამთ უკან სა-
ყურვლათ გამხიარულდა. მოახლეს თავის დღე-
ში არ ენახა ეს კაცი მხიარული, ყოვეთვის
შუბლ შემხმუნენილს და დაფიქრებულსა ხე-
დავდა და ამისგამო გოაცებული დარჩა; რა-
დაემართა რომ ასე იცინისო. შემდეგ მეტის
სიცილისა და კასკასისა დაიწყო ისეთ გვართ
ცეკვაობა, რომ ღონე წართმეული ქოშინით
კუნძსაბე დავდო. გოაცებული მოახლე ამანე
დაფიქრდა და ექიმთან მიიბრინა. ექიმი დრო-
ზე მოესწრო და ჰკითხა: ვახშამთ რა სჭამა;
მოახლემ აჩენა ის ძირები. აღმოჩნდა, რომ
თურმე საწამლაეი ბალახის ძირი ყოფილა.
ამ ძირს ისეთი თვისება აქვს, რომ თუ ცო-
ტა სჭამაკაცმა—ათრობს და ამხიარულებს და
ამძიმებს, თუ მომატებული სჭამა კუკუს შეუ-
შლის და აზიდებს. ამ ძუნწს იმდენი ეჭმა
სიხარბით, რომ თუ ექიმი არ მოსწრებოდა,
მუქთა ხორავი სულს ამოართმევდა. მხლა
თუმცა კარგათ შეიქმნა, მაგრამ მომატებულმა
ყარათმა ორი კვირის ავათყოფობაში ექიმი,
აფთქა და ყურის მგდებელი კაი ფასათ და-
უსვა.

საოჯახო ამბავი.

ცხენის თვალის ტკივილის წი-
ნა აღმდგეი საშუალეობა. ზოგერთ
თვალში, მეტადრე თუ შიგ ქარი ვერა მუ-
შაობს, ჰავრი ძალიან ფუტდება ხოლმე და
ისეთ ნიარ მწევე თვისებას იჭერს, რომ შეს-
ვლის უმაღ კაცს თვალები დაწეება და
ცრემლები წამოსცივია; აგრეთვე იმ ჰავრის
შესურთქვისგან ფილტვიც შეწუნდებიან
ხომლე. მსეთივე მოქმედება აქვს ამ წამდარ
ჰავრს სხვა ცხოველებზედაც; ამისაგან წარ-
მოსდგება ცხენის თვალის ტკივილიც. მრ-
თი ნემეცი მუერნე გეცნობებს, რომ იმან
თავის თვალის ჰავრის დასაწმენდად, მოხმარა
შემდეგი ღონისძიება: ყოველ საღამოს თავ-
ლის იატაკზე რამდენსამე მუქას თეთრ მიწას

(*) ფანტაედა და ამისაგან იმის თვალში ჰაე-
რიც დაწმინდა და ცხენებიც თვალის ტკი-
ვილისაგან სრულებით განთავისუფლდენ.
— რანიშნით შეიძლება შეი-
ტყოს ცხენის წლოვანობა. როდე-
საც ცხენი რვა წლისა შესრულდება, მაშინ
თვალის ქვეით ქუთუთოს ნაწიბურზე ერთი
ნალოკი (ქმუქნი) გამოაჩნდება. ბვარწმუნე-
ბენ, ვითომც ამას შემდეგ რამდენი წელი-
წადიც გადის, იმდენი ნალოკიც (ქმუქნიც)
ემატებოა ცხენს იმავე ალაგას.

ლორის საქმელს რა გავლენა
(მოქმედება) აქვს იმის ხორცის
თვისებაზე. მრთი გამოჩენილი ინგლისე-
ლი მელორე ამბობს: ღორს რომ ბაკლა აქა-
მონ, იმის ხორცი უფემური, მაგარი და ძნე-
ლად მოსანელებელიაო. პართოფილით ქმე-
ული ღორის ხორცი უფემური, უმაძრისი და
წონაზედაც სუმბუქიაო. იონჯა ნაჭამის ხორცი
მოყვითლო ფერისაა და უფემურიაო. რკო ნა-
ჭამი ღორის ხორცი მაგარია, მაგრამ უმაძ-
რისი და შეურავებელიაო. ზეთის გამოხდისა-
გან ნარჩენი რომ აქამონ ღორს, ხორცი
ქონით გაჭინთული ექნება, მაგრამ მცირე
ფასიანი. ხორც ნაჭამი ღორის ხორცი მოტბო,
საზიზარო გემოსა და წვენიც ბევრი აქვს.
რძე ნაჭამი ღორმა კი ძალიან სათუთი (ჩხი-
ლი) ხორცი იცის და ამასთან წონაზედაც
მძიმე. ამისგამო რძით ქმეული ღორის ღო-
რები ძალიან ფასობენ ვაჭრობაში. რძით იმას
შეუძლიან ღორების ქმევა, ვინც ყველსა და
ერბოს აკეთებს და ბევრი ძროხები ჰყავს.
ბამოცილებამ აჩენა, რომ შეიძლება მარტო
რძითა კვებოს ღორი. რძეს შემდეგ კარგ
თვისებას აძლევს ღორის ხორცს ყველა მარ-
ცელიანი საქმელი და უმეტესად სიმინდი.

სახაზინო განცხადება.

ძავკაზიის აქეთის მხრის (ზაკავკასი) პრი-
კაზში, ამ წლის 23 აგვისტოს, იქნება ვაჭ-
რობა კანონიერის გამეორებით (ვერეტორაჟ-
კით), გარდაცვალებული თავადის პლექსან-
დრე სიციშვილის ობოლის, ნინოს, სახლის
გაყიდვად, რომელიც არის ქ. ტფილისის
მეორე განყოფილების მე-11-ტე ნაწილში; ეს
სახლი ისყიდე იმიტომ, რომ მოხსენებული
ობლის ობკუნს ქერიე კნ. ბარბარე სიცი-
შვილისას არ შეუტანია პრიკაზში ვადაზედ
ხვედრი ფული, 1865 წელში ნასესხები 5,500
მ. გადასახდელად.

მისაც ამ სახლის სყიდვა ჰსურს, იმას შეუ-
ძლიან იმის დაფასების სია იხილოს მოხსენე-
ბულ პრიკაზში.

— პორუნიკმა მდივანმა, 24 ივნისს, აუწყა
ტფილისის უფროსი პოლიცემისტრეს სამმარ-
თველოს, რომ მან მდივანმა, სადღაც დაკარ-
გა ვეოდნი ლისტის კაპიო, რომელიც ჰქონდა
იმას მიცემული ტფილისის საქალაქო პოლი-
ციიდგან 1867 წლის 27 მაისს, 232 №-ით,
იმ მამულის უფადო მფლობელობაზედ, რომ-
ელიც იყიდა აზ. ჰიმშერ ასლამაზოვისაგან
პუბლიონი ტორგით (სახალხო ვაჭრობით).

ეს გამოუცხადდება ყველას იმისთვის, რომ
ვინც მოხსენებულ დოკუმენტს იპოვინს,
ვალდებულია წარუდგინოს ტფილისის უფრო-
სი პოლიცემისტრის სამმართველოს პატრო-
ნისთვის გადასაცემად.

— ძავკაზიის აქეთი მხრის პრიკაზში, ამ წლის
23 სექტემბერს, იქნება ვაჭრობა კანონიერი
გამეორებით, გადამდარი გენერალმაიორი თა-
ვადი მაკარი ჯამბაკურიან — მსმალანის სახ-
ლის გასყიდვად, რომელიც არის ქ. ტფი-
ლისის 1-ლი განყოფილების მე-3-მე ნაწილში,
გოლოვინის პროსპექტზედ; ეს სახლი ისყი-
დება იმიტომ, რომ არ შეუტანიათ პრიკაზში

(*) ამ თეთრ მიწას ვაჭრები ჰყიდიან; ისინი ეხიან
დიფსს ანუ ალგებას ტრს.

ვადაზედ ხვედრი ფული, 1862 წელში ნასეს-
ხები 40,000 მ. გადასახდელად. (გერცოგოვინის)
მისაც ამ სახლის სყიდვა ჰსურს, იმას შეუ-
ძლიან იმის დაფასების სია იხილოს მოხსენე-
ბულ პრიკაზში.

— სახელმწიფო ქონებათ სამმართველოში (ეს
იყოფება ნამესტნიკის უმთავრეს სამმართვე-
ლოში) ამ წლის 9 სექტემბერს იქნება ვაჭ-
რობა სამ დღეს შემდეგ კანონიერი გამეორე-
ბით, საეკლესიო დუქნის იჯარით გაცემად
1868 წლის 1 იანვრიდგან. ეს დუქანი იმ-
ყოფება ქ. ტფილისში, სიონის გვერდზე № 1.
მისაც ჰსურს ამ დუქნის იჯარით აღება, ის
უნდა გამოცხადდეს მოხსენებულ სამმართვე-
ლოში კანონიერი, კეთილ—საიმედო გიროა-
ვებით.

— რადგან იჯარის ვადა სრულდება ს. მარტ-
ყოფში მყოფი ვენახისა, ამისათვის სახელმწიფო
ქონების სამმართველოში 1868 წლის ოკტობ-
ბრს იქნება ვაჭრობა სამ დღეს შემდეგ გა-
მეორებით, მოხსენებული ვენახის იჯარით გა-
საცემად, 1867 წლის 1 იანვრიდგან. მისაც
ჰსურს ამ ვენახის იჯარით აღება, მოიწვევა
მოხსენებულ სამმართველოში კეთილ—საიმე-
დო, კანონიერი გიროავებით.

— სახელმწიფო ქონების სამმართველოში,
რომელიც იყოფება ძავკაზიის ნამესტნიკის
უმთავრეს სამმართველოში, ამ წლის 8 მარტი-
ამობისთვის დანიშნულია ვაჭრობა სამ დღეს
შემდეგ გამეორებით, მომავალი 1868 წლეს
1 იანვრიდგან ორი საეკლესიო დუქნისა,
ოთახითა დასარადვით იჯარით გაცემად;
ეს დუქნები იყოფება ქ. ტფილისში, დასურ-
ვლ ბაზარში. მისაც ჰსურს ამ დუქნების
იჯარით აღება, ისინი უნდა მოვიდნენ მოხ-
სენებულ სამმართველოში კეთილ—საიმედო
და კანონიერი გიროავებით.

— სახელმწიფო მამულების სამმართველოში
მკათათვის 29 იქნება ვაჭრობა (ტორგი) ცხ-
რა საეკლესიო დუქნების იჯარით მიცემისათ-
ვის. დუქნები იყოფება სიონის ქუჩაზე და
იჯარით მიცემა ამ წლის ნკენისთვის 1-დგან.
მისაც ჰსურს ამ დუქნების იჯარით აღება უნ-
და წარიდგინონ საიმედო გიროავები (ზოლო-
გები).

კამოროპითი განცხადება.

6. წინამძღვრის შეილისა და მ.
ჯაყელის

ახლოდ გაღებული მალაზია
იმყოფება კუკიის ხიდზე, უ. მარზოვის
დუქნებში № 12 და 13-ში.

ამ მალაზიაში ისყიდება:

კოლონიური სავაჭრო:

ჩაი, გამოჩენილი რუს. ვაჭრის ოკლო-
ვის და პოპოვის მაგაზინიდან;

შაქარი და ყაყა სხვა და სხვა ღირსე-
ბისა.

ბრანიცის სასმელები:

შამპანსი, კონიაკი, რომი, კიშელი,
ხმარსი დი სხე.

აგრეთვე:

ბოლოანდიის ყველი, სარდინკა,
ბევრნაირი მწნილი (გრანიცისა), ყე-
ლა გვარი სანელებელი, სტეარონ-
ის სანთელი და სხვა წვრილმანი სავაჭრო.

—

ამავე მაგაზიაში ისყიდება:

საყვავილო ტანისამოსი

შესსაცმელითა

და თავის მორათულობით.

მოხსენებული მაგაზიის პატრონები დარ-
წმუნებულნი არიან—მოიპოვებენ მსყიდველ-
თაგან ნდობასა თავიანთ სავაჭროს კარგი
ღირსებითა და რიგინის ვაჭრობით, და იმე-
დი აქვსთ საზოგადოება არ დაადგებს მათ
უფურადღებობა.

საბიზლიზობაშიო ცნობა.

საკითხავი წიგნი მოსწავლე ყმაწვი-
ლებისთვის, ი. ბოგებაშვილისგან შედგენი-
ლი, დანიშნულ დროზედ ვერ გამოვიდა, სხვა-
თა შორის, იმიტომ, რომ ძავკაზიის აქეთ
მხრის კარტის დამატება საჭიროთ დარჩა. სე-
ქტემბრისთვის კი უთუთო მზათ იქნება. სიე-
რკით წიგნი თორმეტ თაბახამდის გასწევს.
პარტის მამულები იქნება: ერთ დუმიზედ 40
გერსი.—